



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეში

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: შენიშვნა-1

| | | | | |
|-----------------------------|---|---|-------------------|-------------------|
| ზაზა წიკლაური | | | | |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) | <i>შენიშვნა-2</i> | |
| | | | | |
| ალტერნატიული მისამართი | <i>შენიშვნა-3</i> სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი | | | |
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

მოსარჩელის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

| | | | | |
|---------------------------------------|---|--------------------|-------|-------------------|
| | | | | |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი | | |
| | | | | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი | | | |
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

მოპასუხე: შენიშვნა-5

| | | |
|---|---|--|
| 1. საქართველოს მთავრობა; 2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | | 1. თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. 7; 2. თბილისი, გ. გულუას ქ. 6 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) |
| | | <i>შენიშვნა-6</i> |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი | |
| | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური |
| | | ფაქსი |
| | | ელექტრონული ფოსტა |

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

| | | | |
|---------------|-------------|----------|-------------------|
| | | | |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |
| | | | <i>შენიშვნა-8</i> |

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლო დანაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საბანი

შენიშვნა-11

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-12

შენიშვნა-13

2015 წლის 28 დეკემბერს გაიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების საკითხი. საბჭოს წევრების სრული უმრავლესობის თანხმობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ. 2016 წლის 5 იანვრის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის #No-11 ბრძანებით „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გათავისუფლდა ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან.

2016 წლის 16 თებერვალს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მიერ დამტკიცდა ეკოლოგიური ექპერტიზის დადებითი დასკვნა 110 კილოვატანი (220 კილოვატანი გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

2016 წლის 19 თებერვალს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, გიგლა აგულაშვილმა, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის

მე-4 პუნქტის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება 2016 წლის 16 თებერვლის №7 ეკოლოგიური ექსპერტიზის დამტკიცების თაობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ წარმოვადგენ ყაზბეგის რაიონის მკვიდრს, სადაც უშუალოდ ხორციელდება არა ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია, არამედ ახალი, 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა სადავო ბრძანებების საფუძველზე; მიმაჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს ჩემს კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს (ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება), რომლებიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, არაერთი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, წინამდებარე ადმინისტრაციული სარჩელი წარმოადგენს ჩემი დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

2015 წლის 4 დეკემბერს - სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" მიმართა საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წერილით #5384/07 და მოითხოვა, "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე, მის საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი 110-ის" რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების არგუმენტად მოყვანილია შემდეგი გარემოებები: "აღნიშნული ეგხ-ის რეკონსტრუქციის აუცილებლობა გამოწვეულია მოცემულ რეგიონში მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების ექსპლოატაციაში შესვლის შემდგომ გამომუშავებული ელექტროენერჯის საქართველოს ელექტროსისტემაში ჩართვით. ამასთან "დარიალი ჰესის" ექსპლოატაციაში შესვლა დაგეგმილია ზამთრის პერიოდში (2016 წლის თებერვალი). ამიტომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი 110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის შეუფერხებლად და დროულად განხორციელება იძენს სახელმწიფოებრივ დატვირთვას და უნიშვნელოვანესია როგორც რეგიონალური ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების თვალსაზრისით, ასევე მთლიანად საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებისათვის".

მტკიცებულება:

დანართი 1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 4 დეკემბერის № 5384/07 წერილი საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

2. ფაქტობრივი გარემოება

2015 წლის 14 დეკემბერს გაიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს "სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" ელექტროგადამცემი ხაზის "დარიალი 110" რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების საკითხი. სპეციალური საბჭოს წევრის, გიზო ჭელიძის განცხადებით, "პროექტის შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადის სახელმწიფო საკუთრებაზე, იურიდიული პირის საკუთრებაზე, ფიზიკური პირის საკუთრებაზე, დაცულ ტერიტორიებზე, ასევე ტყის მასივზე. საპროექტო ეგხ დერეფნის ნაწილი ასევე გაივლის ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და შესაბამისად, რამდენიმე ათეული ანძის განთავსება მოხდება ამ ტერიტორიებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ ხვდება ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ცხრილი 3.9.2.1.) მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოხდეს პროექტის საჯარო განხილვის უზრუნველყოფა და დაგეგმილი პროექტის თაობაზე მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, რაც შესაძლებელი იქნება პროექტის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლით".

მტკიცებულება:

დანართი 2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბერის სხდომის ოქმი.

3. ფაქტობრივი გარემოება

2015 წლის 16 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ეკატერინე გრიგალავამ №9136 წერილით მიმართა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი შარკოვს და აცნობა, რომ „საბჭოს წევრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბჭოს სხდომის გადადების შესახებ, ვინაიდან საკითხის გადაწყვეტის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც კერძო მესაკუთრეებთან საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი, ასევე შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საპატრიარქოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.“

მტკიცებულება:

დანართი 3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ეკატერინე გრიგალავას 2015 წლის 16 დეკემბერის №9136 წერილი

4. ფაქტობრივი გარემოება

2015 წლის 28 დეკემბერს გაიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზეც განმეორებით განიხილეს „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების საკითხი.

სხდომაზე საბჭოს წევრმა ბესარიონ დათაშვილმა დასვა შეკითხვა რისკების თავიდან აცილებასთან დაკავშირებით.

სპეციალური საბჭოს თავმჯდომარემ კი აღნიშნა: „სასურველი იყო, რომ აღნიშნულ პროექტს გაეწოდებინათ კანონით დადგენილი პროცედურები სრულად, რადგან პრობლემად რჩება მოსახლეობის ინფორმირებულობის საკითხი. ვინაიდან პროექტი დაკავშირებულია დარიალის ჰესთან, ამიტომ ითვლება ის რთულ თემად, თუმცა როცა ჰესი უკვე აშენებულია, ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა გარდაუვალია. ასევე აღინიშნა, რომ გადასამოწმებელია წარმოდგენილი კერძო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ამონაწერების საკითხი“.

საბოლოოდ, საბჭოს წევრების სრული უმრავლესობის თანხმობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ.

მტკიცებულება:

დანართი 4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის სხდომის ოქმი

5. ფაქტობრივი გარემოება

2016 წლის 5 იანვრის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის # ი-11 ბრძანებით „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

გათავისუფლდა ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან.

მტკიცებულება:

დანართი 5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის ბრძანება №ი-11

6. ფაქტობრივი გარემოება

2016 წლის 9 თებერვალს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, გიგლა აგულაშვილმა გამოსცა ბრძანება ი-72 „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კილოვატიანი (220 კოლოვატიანი გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“.

ბრძანების თანახმად, საექსპერტო კომისია შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით:

ა) ილია ჩხეიძე (კომისიის თავმჯდომარე) - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის გეოეკოლოგიურ გართულებებზე რეაგირების სამმართველოს უფროსი;

ბ) თეიმურაზ ტბელიშვილი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი;

გ) გურამ ნარსია - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის გარემოზე ტექნოგენური ზემოქმედების შეფასებისა და საექსპედიციო მომსახურების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი;

საექსპერტო კომისიას დაევალა კომისიის წევრთა ცალკეული საექსპერტო დასკვნების შეჯერების საფუძველზე საექსპერტო კომისიის დასკვნის მომზადება 7 დღის ვადაში.

მტკიცებულება:

დანართი 6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №ი-72

7. ფაქტობრივი გარემოება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, პროექტისათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისას განხილული იყო შემდეგი საპროექტი დოკუმენტაცია: განმარტებითი ბარათი, საველე კვლევის მასალები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა, დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკებისა და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის კოორდინატები.

მტკიცებულება:

დანართი 7. 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "დარიალი"-ს რეკონსტრუქციის პროექტის (220 კვ ძაბვის ეგხ-ს გაბარიტებში) საერთო განმარტებითი ბარათი, რისკების ანალიზი, საველე კვლევის შედეგები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა და საქმიანობის განხორციელების ადგილის კოორდინატები

8. 2016 წლის 16 თებერვალს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსმა, თამარ

შარაშიძემ დაამტკიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

მტკიცებულება

დანართი 8. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №7

9. 2016 წლის 19 თებერვალს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, გიგლა აგულაშვილმა, "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება 2016 წლის 16 თებერვლის №7 ეკოლოგიური ექსპერტიზის დამტკიცების თაობაზე.

მტკიცებულება

დანართი №9. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, გიგლა აგულაშვილის 2016 წლის 19 თებერვლის ბრძანება №ი-91

10. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის #1555 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა ზაზა წიკლაურის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის #ი-11 ბრძანების - „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ“ და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №ი-91 ბრძანების - „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ ბათილად ცნობის თაობაზე.

მტკიცებულება

დანართი 10-11. 2016 წლის 30 მაისის ადმინისტრაციული საჩივარი, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის #1555 განკარგულება

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №ი-11 ბრძანება;

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №ი-11 ბრძანება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან ისინი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლებულია კონკრეტული სუბიექტი - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის #ი-11 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათილად უნდა იქნენ ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ადმინისტრაციულმა ორგანომ - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა 2016 წლის 5 იანვრის #ი-11 ბრძანების გამოცემისას დაარღვია: “გარემოზე

ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი 1 პუნქტის მოთხოვნა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ“ .

კერძოდ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არ ჰქონია კონკრეტული საქმიანობის მიმართ ყველა სხვა მსგავსი საქმიანობებისაგან განსხვავებული მიდგომებისა და კანონიდან გამონაკლისის დაშვების საფუძველი. არ ყოფილა და ვერც იქნებოდა დასაბუთებული პროექტის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ვინაიდან წარმოების მასალებში არსებულ დოკუმენტებში მითითებულია, რომ დაგეგმილი საქმიანობა ემსახურება მხოლოდ კონკრეტული ჰესის ერთიან ელექტროსისტემაში ჩართვას და არავითარი სხვა დანიშნულება არ გააჩნია. ამასთანავე, მთავარ არგუმენტად მოყვანილი იყო ის გარემოება, რომ დარიალი ჰესის ექსპლუატაციაში შესვლა 2016 წლის თებერვალში იყო დაგეგმილი, თუმცა როგორც ცნობილია ჰესის ექსპლუატაცია ჯერაც არ დაწყებულა. ასევე, უცნობია გადაწყვეტილების შემჭიდროებულ ვადებში მიღების აუცილებლობის მიზეზები, ვინაიდან ამ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საჭიროება ცნობილია ჯერ კიდევ 2011 წლიდან, როდესაც დარიალი-ჰესის მშენებლობა დაიწყო. ამასთან, საგულისხმოა, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების სრულად გავლის შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მინიმუმ 60 და მაქსიმუმ 75 დღე. ხოლო ამ პროცედურის ხანგრძლივობის საბაზით გზშ-სგან გათავისუფლების პირობებში სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებისათვის მთლიანობაში 78 დღე დასჭირდა (საქმიანობის განმახორციელების მიმართვა დათარიღებულია 2015 წლის 4 დეკემბრით, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 2016 წლის 19 თებერვლით).

2. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ“ (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის #ი-11 ბრძანება).

კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ

საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქმიანობა შედის ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ჩამონათვალში, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათაგათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

- ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
- ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
- გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
- დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:

- I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
- II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;
- III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;
- IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღება შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის გან სახილველვად;
- V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;
- VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;

და

- ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წაახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტიანობის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე;

ა) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამო ნაბოლქვების შეფასების ჩათვლით;

ბ) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რო მელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;

გ) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათ ვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;

დ) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;

ე) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;

ფ) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინ ფორმაცია.

7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“.

როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

3. „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის #38 ბრძანების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლებას.

„ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის #28 ბრძანების მე-7 მუხლის (ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურის ჩატარების თანამიმდევრობა და წესი) თანახმად, კი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება ხორციელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად: ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტაცია:

- ა) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;
- ბ) მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (ტექნიკური რეზიუმეს სახით). ეს დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზმ-ის ანგარიში (5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;
- დ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (მაგნი ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი (4 ეგზემპლარად) – აღნიშნული დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;
- ე) განცხადება წარდგენილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე.

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, კი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს;
- ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას;
- გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს;
- დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას;
- ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას;
- ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას;
- ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას;
- თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას;
- ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას;
- კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას;
- ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;

- მ) პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას;
- ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას;
- ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);
- პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები);
- ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს;
- რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა.

ასევე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან უნდა ერთოდეს:

- ა) შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ასპექტებზე;
 - ბ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები, ძირითად უთანხმოებათა აღწერით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - გ) გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შერბილების ღონისძიებათა გეგმები;
 - დ) ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმები ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;
 - ე) გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოკლე, არატექნიკური რეზიუმე, გრაფიკული და სხვა საილუსტრაციო მასალის თანდართვით საზოგადოების მონაწილეობის პროცესისა და ინფორმირების უზრუნველსაყოფად;
 - ვ) იმ ორგანიზაციების ან საკონსულტაციო ფირმების დასახელება და იურიდიული მისამართები, რომლებიც მონაწილეობდნენ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებაში და მისი შედეგების მომზადებაში;
 - ზ) მოკლე ცნობები პროექტის განხორციელების მიზნებისა და მისი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაზე;
 - თ) ობიექტის განთავსების ადგილის შერჩევის კრიტერიუმები, ალტერნატიური ვარიანტების გათვალისწინებით;
 - ი) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარემოს არსებული მდგომარეობის მოკლე აღწერა;
 - კ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები, სიტუაციური რუკა და გენ-გეგმა, სადაც დატანილი იქნება საწარმოო მოედანი, დროებითი შენობა-ნაგებობები, კომუნიკაციები და ზემოქმედების წყაროები;
 - ლ) საპროექტო გადაწყვეტათა შემუშავების პროცესში გამოყენებული ლიტერატურა (წყაროს მითითებით), საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჩამონათვალი.
 - მ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
 - ნ) დაგეგმილი საქმიანობის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატიული ვარიანტები GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გამონამუშევარის განთავსების შესახებ ინფორმაცია.
- სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 110 კილოვოლტიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზისას კი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, განხილული იყო: განმარტებითი ბარათი, საველე კვლევის მასალები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა, დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკებისა და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS

კოორდინატები. აღსანიშნავია, რომ ეს არის ის დოკუმენტები, რომელიც გარემოზე ზემოქმედების სპეციალურ საბჭოს უნდა განეხილა საქმიანობის გზმ-სგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას; მაგრამ ამ დოკუმენტების საფუძველზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადება დაუშვებელია.

სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლი, 53-ე, 96-ე მუხლები. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი „სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის #ი-91 ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის ი 91 ბრძანება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან ისინი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის ი-91 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათილად უნდა იქნენ ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაარღვია: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110“ რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ“ (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის #ი-11 ბრძანება).

კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქმიანობა შედის ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ჩამონათვალში, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათაგათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

- ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
 - ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
 - გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
 - დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:
- I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
 - II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;
 - III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;

- IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღება შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის გან სახილველვად;
- V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;
- VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;

და

ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე;

ა) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამო ნაბოლქვების შეფასების ჩათვლით;

ბ) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რო მელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;

გ) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათ ვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;

დ) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;

ე) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;

ფ) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინ ფორმაცია.

7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის

ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იშეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“. როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

2. „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტროს 2013 წლის #38 ბრძანების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლებას.

„ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის #28 ბრძანების მე-7 მუხლის (ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურის ჩატარების თანამიმდევრობა და წესი) თანახმად, კი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება ხორციელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად: ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მადიებელმა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტაცია:

- ა) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;
- ბ) მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (ტექნიკური რეზიუმეს სახით). ეს დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზმ-ის ანგარიში (5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;
- დ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (მაგნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი (4 ეგზემპლარად) – აღნიშნული დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;
- ე) განცხადება წარდგენილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე.

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, კი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს;
- ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას;
- გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს;
- დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების ალბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას;
- ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას;
- ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას;
- ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას;
- თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას;
- ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას;
- კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას;
- ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;
- მ) პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას;
- ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას;
- ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);
- პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები);
- ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს;
- რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა.

ასევე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან უნდა ერთოდეს:

- ა) შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ასპექტებზე;
- ბ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები, ძირითად უთანხმოებათა აღწერით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გ) გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შერბილების ღონისძიებათა გეგმები;
- დ) ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმები ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ე) გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოკლე, არატექნიკური რეზიუმე, გრაფიკული და სხვა საილუსტრაციო მასალის თანდართვით საზოგადოების მონაწილეობის პროცესისა და ინფორმირების უზრუნველსაყოფად;
- ვ) იმ ორგანიზაციების ან საკონსულტაციო ფირმების დასახელება და იურიდიული მისამართები, რომლებიც მონაწილეობდნენ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებაში და მისი შედეგების მომზადებაში;

- ზ) მოკლე ცნობები პროექტის განხორციელების მიზნებისა და მისი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაზე;
- თ) ობიექტის განთავსების ადგილის შერჩევის კრიტერიუმები, ალტერნატიური ვარიანტების გათვალისწინებით;
- ი) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარემოს არსებული მდგომარეობის მოკლე აღწერა;
- კ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები, სიტუაციური რუკა და გენ-გეგმა, სადაც დატანილი იქნება საწარმოო მოედანი, დროებითი შენობა-ნაგებობები, კომუნიკაციები და ზემოქმედების წყაროები;
- ლ) საპროექტო გადაწყვეტათა შემუშავების პროცესში გამოყენებული ლიტერატურა (წყაროს მითითებით), საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჩამონათვალი.
- მ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ნ) დაგეგმილი საქმიანობის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატიული ვარიანტები GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გამონამუშევარის განთავსების შესახებ ინფორმაცია.

სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 110 კილოვოლტიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზისას კი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, განხილული იყო: განმარტებითი ბარათი, საველე კვლევის მასალები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა, დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკებისა და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები. აღსანიშნავია, რომ ეს არის ის დოკუმენტები, რომელიც გარემოზე ზემოქმედების სპეციალურ საბჭოს უნდა განეხილა საქმიანობის გზშ-სგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას; მაგრამ ამ დოკუმენტების საფუძველზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადება დაუშვებელია.

6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, გიგლა აგულაშვილის 2016 წლის 19 თებერვლის #ი-91 ბრძანების თანახმად, მინისტრმა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის დამტკიცებისას იხელმძღვანელა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამინისტროსათვის წარდგენილ დოკუმენტაციაზე სამინისტრო გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი ბრძანებით. ასეთ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება ასევე უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს“.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად („გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა):

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწიოს მისი საჯარო განხილვა (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმიანობის

განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა მოაწყოს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის პროცედურის დაწყებამდე).

2. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს თავის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

3. დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებასა და ადგილმდებარეობას;
- ბ) მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლება დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის, გზშ-ის ანგარიშის, ტექნიკური რეზიუმეს და არატექნიკური რეზიუმეს დოკუმენტური და ელექტრონული ვერსიების) გაცნობა;
- გ) საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ვადას;
- დ) გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის დროსა და ადგილს.

4. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

- ა) ბეჭდვით ორგანოში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს გზშ-ის ანგარიშის, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებული ტექნიკური რეზიუმეს და არატექნიკური რეზიუმეს დოკუმენტური და ელექტრონული ვერსიები;
- ბ) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები;
- გ) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა მოაწყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა თავის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- დ) გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე უზრუნველყოს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სხვა დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა წერილობითი მიწვევა.

5. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

6. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ეწყობა იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

კანონის მე-7 მუხლის თანახმად („გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების გაფორმება“):

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. ოქმს ხელს აწერენ საქმიანობის განმახორციელებელი (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი) და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტროს წარმომადგენლები (გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე მათი დასწრების შემთხვევაში).

2. საქმიანობის განმახორციელებელი ეცნობა საზოგადოების წარმომადგენელთა წერილობით შენიშვნებსა და მოსაზრებებს და ითვალისწინებს მათ არგუმენტებს გზმ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში.

3. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და მათი ავტორისთვის (ავტორებისთვის) გაგზავნა. ეს წერილობითი დასაბუთება (შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) საქმიანობის განმახორციელებელმა, გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გზმ-ის ანგარიშთან ერთად, უნდა წარადგინოს ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში). ამ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები გზმ-ის ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

4. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის, მისი შედეგების გაფორმებისა და გზმ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს) ერთი წლის განმავლობაში, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარუდგინოს განცხადება ნებართვის (ან მშენებლობის ნებართვის) მიღებასთან დაკავშირებით.

ხოლო, კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტაცია:

ა) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;

ბ) მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (ტექნიკური რეზიუმეს სახით). ეს დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზმ-ის ანგარიში (5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;

დ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (მაგნი ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი (4 ეგზემპლარად) – აღნიშნული დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;

ე) განცხადება წარდგენილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე.

სასამართლოს ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ არცერთი ზემოთმითითებული ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოცემული იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის #ი-91 ბრძანება დაცული არ ყოფილა.

3. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №1555 განკარგულება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის კოდექსის 178.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა საქართველოს მთავრობა, სადაც ზემოაღნიშნული გასაჩივრების ვადის დაცვით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულებით არ დაკმაყოფილდა.

სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის #1555 განკარგულება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მაშასადამე,

ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას.

ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს - საქართველოს მთავრობას ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე წარმოეშვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება, რომლის შესაბამისად მას უნდა გამოეკვლია, შეეფასებინა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და აღნიშნულის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების და არა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის კანონსაწინააღმდეგო და სრულიად დაუსაბუთებელი, რის გამოც სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად ექვემდებარება ბათილად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სზაკ-ის 53-ე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას; ხოლო ამავდროულად მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოარკვია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის გაბათილებული ადმინისტრაციული საჩივარში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები როგორც ფაქტობრივ გარემოებებთან, ისე სამართლებრივ საფუძვლებთან მიმართებაში.

კერძოდ: ადმინისტრაციულმა ორგანომ "დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა დადასტურებულად მიიჩნია სს"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 2015 წლის 4 დეკემბრის განცხადების, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის 2015 წლის 4 დეკემბრის წერილისა და სს"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" წარმომადგენლის ახსნა-განმარტების საფუძველზე, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას, თუ კონკრეტულად რამ განაპირობა "დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტის ანუ საქმიანობის გზმ-სგან გათავისუფლების აუცილებლობა და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული პროექტის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზა ისე ჩატარდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის #28 ბრძანებით დამტკიცებული "ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გასაცემად ადმინისტრაციულ ორგანოში არ იყო წარდგენილი "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ვერ დავეთანხმებით გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას მასზედ, რომ ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი მოთხოვნები არის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად/ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და რომ ნებართვის ან/და ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად ზემოთ მითითებული დოკუმენტების სრულად წარმოდგენა შესაძლებელია ვერ მოხდეს, რასაც ადგილი აქვს განსახილველ შემთხვევაში. "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის დანაწესი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წინაპირობად იმპერატიულად ადგენს ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულად წარდგენის ვალდებულებას, რაიმე გამონაკლისი ამ მხრივ კანონმდებლის მიერ არ არის დადგენილი. აღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლება იმ საფუძველით, რომ საქმიანობის განმახორციელებელი გათავისუფლებულია "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გზმ-სგან დაუშვებელია, ვინაიდან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის #38 ბრძანებით დამტკიცებული "გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის" მე-6 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლებას, რაც განსახილველ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგოდ მოახდინა ადმინისტრაციულმა ორგანომ.

სრულიად უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი დასკვნა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის არ გაზიარების შესახებ იმ საფუძველით, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა ვერ დაასაბუთა და სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა, თუ რა მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს "დარიალი 110" ეგხ-ის რეკონსტრუქციამ გარემოზე. ადმინისტრაციულ საჩივარში სრულად და დასაბუთებულად არის წარმოდგენილი მოთხოვნა, ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც ეყრდნობა ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა და ის სამართლებრივი საფუძველები, რაც უპირობოდ განაპირობებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას. საგულისხმოა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების სადავოობის შემთხვევაში ამ სამართლებრივი აქტების კანონიერების მტკიცების ტვირთი მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, ხოლო ადმინისტრაციული საჩივართან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მტკიცების ტვირთი არასწორად არის გადაკისრებული ადმინისტრაციული საჩივრის ავტორზე, რაც მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად დაუშვებელია.

სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლი, 96-ე, 53-ე მუხლები, სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი უზამდგომლობები

შენიშვნა-20

| | |
|-------------|---------------------------|
| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| | |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| | |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| | |

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

დაეველოს მოპასუხეებს წარმოადგინონ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულყოფილად.

შენიშვნა-23

სსკპ სახის უზამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად მესამე პირად განსახილველ საქმეში ჩაბმული იქნას სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა".

არგუმენტაცია:

სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად მესამე პირად განსახილველ საქმეში ჩაბმული იქნას სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", ვინაიდან იგი წარმოადგენს სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტს.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

| | | | |
|-------------|-------------------------------------|------|---------------------|
| დიახ | <input type="checkbox"/> | ვის? | რომელი ენის მცოდნე? |
| არა | <input checked="" type="checkbox"/> | | |

სარჩელის ფასი

შენიშვნა-25

არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-26

100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ მტკიცებულება:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე მორიგება შეუძლებელია.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები:

არა რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან ეს დრო არის საჭირო მთავარ სხდომაზე მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დავის დასრულება გონივრულია.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 4 დეკემბერის № 5384/07 წერილი საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს - 2 ფურცელი;
2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბერის სხდომის ოქმი - 2 ფურცელი;
3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ეკატერინე გრიგალავას 2015 წლის 16 დეკემბერის №9136 წერილი - 2 ფურცელი;
4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის სხდომის ოქმი - 2 ფურცელი;
5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის ბრძანება №ი-11 - 1 ფურცელი;
6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №ი-72 - 2 ფურცელი;
7. 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "დარიალი"-ს რეკონსტრუქციის პროექტის (220 კვ ძაბვის ეგხ-ს გაბარტებში) საერთო განმარტებითი ბარათი, რისკების ანალიზი, საველე კვლევის შედეგები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა და საქმიანობის განხორციელების ადგილის კოორდინატები - 233 ფურცელი;

8. 2016 წლის 16 თებერვლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №7 - 6 ფურცელი;
9. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, გიგლა აგულაშვილის 2016 წლის 19 თებერვლის ბრძანება №ი-91 - 2 ფურცელი;
10. 2016 წლის 30 მაისის ადმინისტრაციული საჩივარი - 16 ფურცელი;
11. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №1555 განკარგულება -24 ფურცელი;
12. პირადობის მოწმობის ასლი - 1 ფურცელი;
13. სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 294

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

| | დიახ | არა |
|---|-------------------------------------|--------------------------|
| 1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. მითითებულია დავის საგანი. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 6. მითითებულია სარჩელის ფასი. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს). | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 13. სარჩელი ხელმოწერილია. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა. | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

| | | | |
|--|---|------------------|------------------------|
| სარჩელი ფორმალურად გამართულია: <input type="checkbox"/> | სარჩელი ფორმალურად არაა გამართული: <input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i> | <i>ხელმოწერა</i> | <i>სახელი და გვარი</i> |
|--|---|------------------|------------------------|

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|--|---------------|--------------|
| | ზაზა წიკლაური | 12/08/2016წ. |
|--|---------------|--------------|

| | | |
|--|----------------------------|-----------------|
| ხელმოწერა | ხელმოწერის სახელი და გვარი | შევსების თარიღი |
| შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. | | |